

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	24
5. წინა წლების კორექტირებები	25
6. ძირითადი საშუალებები	26
7. საინვესტიციო ქონება.....	27
8. ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	28
9. მარაგები.....	28
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	29
12. საწესდებო კაპიტალი	29
13. მიღებული სესხები	30
14. საგადასახადო ვალდებულება.....	31
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	31
16. ამონაგები.....	31
17. რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	31
18. სხვა წმინდა შემოსავალი	32
19. გაყიდვის დანახარჯები	32
20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	32
21. პირობითი ვალდებულებები	33
22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	34
23. კაპიტალის მართვა	38
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	38
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იბერკომპანის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს იბერკომპანის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 12,940,329 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაში, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულებების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 16,631,456 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებაში, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების ნეტო აქტივების სისრულეზე, არსებობასა და სიზუსტეზე, რომელიც მოცემული თარიღისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეადგენდა 2,489,594 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ერთობლივი და მეკავშირე საწარმოებში წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მოგების/(ზარალის) წილში, აგრეთვე ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონიერულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2019

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2019

იბერკომპანი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	16,471,953	15,940,121	12,940,329
საინვესტიციო ქონება	7	15,681,048	16,879,628	16,631,456
არამატერიალური აქტივები		153,602	166,853	53,809
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	486,919	1,212,379	157,000
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში	8	2,654,728	997,004	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,448,250	35,195,985	29,782,594
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	2,406,628	7,385,976	4,373,543
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,368,331	1,424,681	1,674,159
საგადასახადო აქტივი		-	-	82,331
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	826,730	642,478	892,549
სულ მიმდინარე აქტივები		4,601,689	9,453,135	7,022,582
სულ აქტივები		40,049,939	44,649,120	36,805,176
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	2,478,000	3,100,000	2,500,000
გაუნაწილებელი მოგება		18,916,486	16,404,926	12,792,896
სულ კაპიტალი		21,394,486	19,504,926	15,292,896
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	13,593,903	14,039,774	15,956,642
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,593,903	14,039,774	15,956,642
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	4,423,757	5,880,442	4,448,338
საგადასახადო ვალდებულება	14	103,727	1,419,775	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	534,066	3,804,203	1,107,300
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,061,550	11,104,420	5,555,638
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40,049,939	44,649,120	36,805,176

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ლევან დიასამიძე

ფინანსური დირექტორი _____ ირაკლი წინუა

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	16,471,953	15,940,121	12,940,329
საინვესტიციო ქონება	7	15,681,048	16,879,628	16,631,456
არამატერიალური აქტივები		153,602	166,853	53,809
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	486,919	1,212,379	157,000
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში	8	2,654,728	997,004	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,448,250	35,195,985	29,782,594
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	2,406,628	7,385,976	4,373,543
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,368,331	1,424,681	1,674,159
საგადასახადო აქტივი		-	-	82,331
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	826,730	642,478	892,549
სულ მიმდინარე აქტივები		4,601,689	9,453,135	7,022,582
სულ აქტივები		40,049,939	44,649,120	36,805,176
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	2,478,000	3,100,000	2,500,000
გაუნაწილებელი მოგება		18,916,486	16,404,926	12,792,896
სულ კაპიტალი		21,394,486	19,504,926	15,292,896
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	13,593,903	14,039,774	15,956,642
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,593,903	14,039,774	15,956,642
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	4,423,757	5,880,442	4,448,338
საგადასახადო ვალდებულება	14	103,727	1,419,775	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	534,066	3,804,203	1,107,300
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,061,550	11,104,420	5,555,638
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40,049,939	44,649,120	36,805,176

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ლევან დიასამიძე

ფინანსური დირექტორი

ირაკლი წინუა

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	16	57,478,815	57,520,614
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	17	(49,170,456)	(48,330,428)
საერთო მოგება		8,308,359	9,190,186
სხვა წმინდა შემოსავალი	18	1,108,843	1,268,661
გაყიდვის დანახარჯები	19	(2,849,715)	(2,984,089)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(2,740,301)	(2,534,288)
საოპერაციო მოგება		3,827,186	4,940,470
საპროცენტო ხარჯი		(1,265,065)	(1,427,352)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(115,455)	177,138
მოგების/(ზარალის) წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში	8	64,894	(74,151)
მოგება დაბეგვრამდე		2,511,560	3,616,105
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(4,075)
მთლიანი სრული შემოსავალი		2,511,560	3,612,030

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	2,500,000	12,792,896	15,292,896
საწესდებო კაპიტალის ზრდა	600,000	-	600,000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,612,030	3,612,030
31 დეკემბერი 2017	3,100,000	16,404,926	19,504,926
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(622,000)	-	(622,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,511,560	2,511,560
31 დეკემბერი 2018	2,478,000	18,916,486	21,394,486

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		2,511,560	3,616,105
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17, 19, 20	1,691,894	1,510,573
საპროცენტო ხარჯი		1,265,065	1,427,352
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი		(210,974)	(712,557)
ინვესტიციის გაუფასურების ამორტიზაცია		-	(249,870)
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება (მოგების)/ზარალის წილი წილობრივი მეთოდით		115,455	(177,138)
აღრიცხულ ინვესტიციებში	8	(64,894)	74,151
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,308,106	5,488,616
ცვლილება საკუთარ კაპიტალში:			
მარაგების შემცირება/(ზრდა)		4,708,314	(4,228,438)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		88,394	247,934
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(3,040,615)	2,663,639
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(1,316,048)	1,467,400
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		5,748,151	5,639,151
გადახდილი პროცენტი		(1,332,049)	(1,452,553)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(4,075)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		4,416,102	4,182,523
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(447,561)	(4,134,163)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		-	204,736
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(37,003)	(495,229)
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია		-	806,970
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(4,846)	(125,332)
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		(1,963,927)	(1,369,099)
წილის შემცირება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		1,056,080	327,140
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,397,257)	(4,784,977)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოდინება მიღებული სესხებიდან		38,614,317	15,820,434
მიღებული სესხების დაფარვა		(40,778,927)	(15,962,622)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	12	(622,000)	600,000
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან		(2,786,610)	457,812
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		232,235	(144,642)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		642,478	892,549
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(47,983)	(105,429)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		826,730	642,478

10-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს იბერკომპანისა (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

მშობელი კომპანია დაარსდა 2000 წლის 6 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით - 231963818.

მშობელი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწვავით ვაჭრობა და სავაჭრო ობიექტების გაქირავება. მშობელი კომპანია საწვავის რეალიზაციას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი - გოჩა ენუქიძე. ჯგუფს მართავს 100%-იანი წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

მშობელი კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებსა და წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში:

დასახელება	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017	ინვესტიცია	საოპერაციო საქმიანობა
შპს იბერჰესი	100%	100%	100%	შვილობილი	ჰესის მშენებლობა
შპს იბერვანა	100%	100%	100%	შვილობილი	სასტუმრო
შპს ჰოუმმარტი	100%	-	-	შვილობილი	სამშენებლო ბიზნესი
შპს კერა დეველოპმენტი	50%	50%	50%	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს არქი რივერსაიდი	50%	50%	-	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს საწვავის ტრანსკავკასიური კომპანია	50%	-	-	ერთობლივი საწარმო	საწვავის ტრანსპორტირება
შპს რივერსაიდ დილომი	50%	-	-	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს სქაი ბათუმი	50%	-	-	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს ფოთპეტროლი	40%	40%	-	მეკავშირე საწარმო	საწვავით ვაჭრობა
შპს ომეგა გაზი	35%	35%	35%	მეკავშირე საწარმო	ბუნებრივი აირით ვაჭრობა
შპს სქაი ისანი	34.35%	34.35%	-	მეკავშირე საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს შატრო ველი	20%	20%	-	მეკავშირე საწარმო	ღვინის წარმოება
შპს დელტა გაზი	10%	10%	-	მეკავშირე საწარმო	ბუნებრივი აირით ვაჭრობა

ზემოთ მოცემული ყველა კომპანიის რეგისტრაციისა და საქმიანობის ადგილია საქართველო.

მშობელი კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სართული 3, ბლოკი B.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის ჯგუფის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ჯგუფის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. ჯგუფი არ იყენებს სხვა ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად (მე-3 შენიშვნა).

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

- ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2017 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2017 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი აღრიცხვას წილობრივი მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღირიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად; წილობრივი მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვას წილობრივი მეთოდით ჯგუფი იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც ინვესტირებული საწარმო შეიძლება ჩაითვალოს მეკავშირე საწარმოდ ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოდ. მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ინვესტიციის შეძენის დროს წარმოშობილი სხვაობა (დადებითი თუ უარყოფითი), ინვესტიციის თვითღირებულებასა და მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, აღირიცხება შემდეგნაირად:

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე საწარმოსთან ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებთან, შეიტანება ამ ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. თუმცა, ამ გუდვილის ამორტიზაცია არ ხდება;

ბ) მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილის ნებისმიერი მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე შეიტანება მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მოგებაში ან ზარალში ჯგუფის წილის გაანგარიშებაში შემოსავლის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ინვესტიცია იქნა შეძენილი.

თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოები და ჯგუფი მსგავს ოპერაციებსა და შემთხვევებში იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი წილობრივ მეთოდს იყენებს მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ხდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკათა დაახლოება და შესაბამისი კორექტირებების ჩატარება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი ნეტო ინვესტიცია გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა, რაც გამოიწვია ნეტო ინვესტიციის საწყისი აღიარების შემდეგ მომხდარმა ერთმა ან რამდენიმე მოვლენამ („ზარალის გამომწვევი მოვლენა“), ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ნეტო ინვესტიციიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე და შესაძლებელია გაუფასურების ზარალის საიმედოდ შეფასება.

რადგან მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ჯგუფის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში შესული გუდვილის აღიარება ცალკე არ ხდება, ჯგუფი არ იყენებს გუდვილის გაუფასურებაზე ცალკე ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“-ს მოთხოვნებს. ამის ნაცვლად, ბასს 36-ის შესაბამისად გაუფასურებაზე მოწმდება ინვესტიციის, როგორც ერთი აქტივის, მთლიანი საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის) შედარებით საბალანსო ღირებულებასთან. ასეთ შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალი არ ნაწილდება რომელიმე აქტივზე, მათ შორის გუდვილზე, რომელიც წარმოადგენს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. შესაბამისად, ამ გაუფასურების ნებისმიერი კომპენსირების თანხას ჯგუფი აღიარებს ბასს 36-ის შესაბამისად იმ ოდენობით, რა სიდიდითაც გაიზრდება შემდგომში ამ ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

ჯგუფი წყვეტს წილობრივი მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ფასს 9-ის შესაბამისად, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები არ ხდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა. როდესაც ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ განსხვავებას ნებისმიერი დარჩენილი ინვესტიციისა და მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში წილის ნაწილობრივი დათმობიდან მიღებული შემოსულობის რეალურ ღირებულებასა და მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის.

როდესაც ჯგუფი კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი მათთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა თანხას ისეთივე წესით ასახავს, როგორც მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები უშუალოდ გაყიდვიდან ყველა შესაბამის აქტივს ან ვალდებულებას. ამგვარად, თუ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მიერ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირებული იყო მოგებაში ან ზარალში შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, ჯგუფს ეს შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან გადააქვს მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა), როდესაც კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებზე. თუ ჯგუფის საკუთრების წილი მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში მცირდება, მაგრამ ეს ინვესტიცია ისევ მეკავშირე საწარმოს სტატუსს ინარჩუნებს, ჯგუფს მოგებაში ან ზარალში გადააქვს მხოლოდ წინა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის პროპორციული წილი.

ჯგუფი აგრძელებს წილობრივი მეთოდის გამოყენებას მას შემდეგაც რაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში ხდება ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ან ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ხდება ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ამ შემთხვევაში აღარ ხდება ინვესტიციის რეალური ღირებულებით ხელახალი შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავტო გასამართი სადგურები	5-15
სატვირთო და სხვა ავტომობილები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა	5-15

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს. საინვესტიციო ქონება ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა საინვესტიციო ქონების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. შენობა ნაგებობების და ავტო გაზ-გასამართი სადგურების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 20 წელს.

საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. ჯგუფის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, ჯგუფს შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს რწმუნება იმის შესახებ, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და შემოსავლის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება ოპერაციის პერიოდში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ჯგუფი როგორც მიიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შესასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძენა. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე, მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია ქვემოთ, მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. წინა წლების კორექტირებები

წინა პერიოდის კორექტირების ეფექტი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კორექტირებამდე 31 დეკემბერი 2017	კორექტირება	კორექტირებული 31 დეკემბერი 2017
ფინანსური მდგომარეობის			
კონსოლიდირებული ანგარიშგება			
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში*	3,363,907	(2,366,903)	997,004
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,592,584	211,619	3,804,203
გაუნაწილებელი მოგება	18,983,448	(2,578,522)	16,404,926
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული			
ანგარიშგება			
ამონაგები	57,543,054	(22,440)	57,520,614
სხვა წმინდა შემოსავალი*	3,635,564	(2,366,903)	1,268,661

*ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომა და ერთობლივ კომპანიაში შეტანილი მიწის ღირებულება აღრიცხა 800,000 ლარად, ნაცვლად 3,166,903 მილიონ ლარისა.

წინა პერიოდის კორექტირების ეფექტი 2017 წლის 1 იანვარს დასრულებული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კორექტირებამდე 31 დეკემბერი 2017	კორექტირება	კორექტირებული 31 დეკემბერი 2017
ფინანსური მდგომარეობის			
კონსოლიდირებული ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	918,121	(189,179)	1,107,300
გაუნაწილებელი მოგება	12,982,075	189,179	12,792,896

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავტო გასამართი სადგურები	სატვირთო და სხვა ავტომობილები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
1 იანვარი 2017	8,068,790	2,349,905	217,794	881,740	837,688	923,940	918,539	14,198,396
შემოსვლა	393,540	1,199,344	808,972	906,614	514,254	235,503	632,408	4,690,635
გასვლა	(976,591)	-	(17,662)	(25,123)	(31,601)	(43,055)	(70,151)	(1,164,183)
31 დეკემბერი 2017	7,485,739	3,549,249	1,009,104	1,763,231	1,320,341	1,116,388	1,480,796	17,724,848
შემოსვლა	901,140	278,166	235,560	114	33,680	69,404	361,478	1,879,542
გასვლა	-	(59,548)	(138,812)	(41,473)	(70,760)	(1,053)	(268,155)	(579,801)
31 დეკემბერი 2018	8,386,879	3,767,867	1,105,852	1,721,872	1,283,261	1,184,739	1,574,119	19,024,589
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2017	-	(494,520)	(17,953)	(92,970)	(291,562)	(241,613)	(119,449)	(1,258,067)
წლის ცვეთა	-	(92,769)	(46,929)	(95,321)	(122,754)	(142,957)	(69,499)	(570,229)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	25,123	5,243	6,635	6,568	43,569
31 დეკემბერი 2017	-	(587,289)	(64,882)	(163,168)	(409,073)	(377,935)	(182,380)	(1,784,727)
წლის ცვეთა	-	(123,417)	(139,787)	(150,176)	(175,757)	(148,982)	(51,095)	(789,214)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	7,230	7,182	6,706	187	-	21,305
31 დეკემბერი 2018	-	(710,706)	(197,439)	(306,162)	(578,124)	(526,730)	(233,475)	(2,552,636)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2017	8,068,790	1,855,385	199,841	788,770	546,126	682,327	799,090	12,940,329
31 დეკემბერი 2017	7,485,739	2,961,960	944,222	1,600,063	911,268	738,453	1,298,416	15,940,121
31 დეკემბერი 2018	8,386,879	3,057,161	908,413	1,415,710	705,137	658,009	1,340,644	16,471,953

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილი დატვირთულია იპოთეკით/გირათი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

იბერკომპანი ჯგუფი**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	შენიშნა- ნაგებობები	ავტო გასამართი სადგურები	სულ
1 იანვარი 2017	17,951,424	1,405,568	19,356,992
შემოსვლა	67,436	1,175,472	1,242,908
გასვლა	(64,959)	(99,462)	(164,421)
31 დეკემბერი 2017	17,953,901	2,481,578	20,435,479
შემოსვლა	37,004	8,983	45,987
გასვლა	(365,330)	(14,807)	(380,137)
31 დეკემბერი 2018	17,625,575	2,475,754	20,101,329
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2017	(2,306,222)	(419,314)	(2,725,536)
წლის ცვეთა	(838,073)	(89,983)	(928,056)
გასული საინვესტიციო ქონების დაგროვილი ცვეთა	18,996	78,745	97,741
31 დეკემბერი 2017	(3,125,299)	(430,552)	(3,555,851)
წლის ცვეთა	(758,842)	(125,741)	(884,583)
გასული საინვესტიციო ქონების დაგროვილი ცვეთა	18,968	1,185	20,153
31 დეკემბერი 2018	(3,865,173)	(555,108)	(4,420,281)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2017	15,645,202	986,254	16,631,456
31 დეკემბერი 2017	14,828,602	2,051,026	16,879,628
31 დეკემბერი 2018	13,760,402	1,920,646	15,681,048

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონების ძირითადი ნაწილი დატვირთულია იპოთეკით ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

დასახელება	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს სქაი ბათუმი*	1,376,830	-	-
შპს რივერსაიდ დილომი*	1,112,764	-	-
შპს დელტა გაზი	190,010	189,902	-
შპს ომეგა გაზი	186,858	155,672	157,000
შპს ფოთპეტროლი	165,034	163,388	-
შპს შატრო ველი	110,051	97,291	-
შპს საწვავის ტრანსკავკასიური კომპანია	100	-	-
შპს არქი რივერსაიდი	-	834,272	-
შპს სქაი ისანი	-	768,858	-
სულ ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	3,141,647	2,209,383	157,000

*ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, როლებიც ნაჩვენებია ერთობლივი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შპს რივერსაიდ დილომი 31 დეკემბერი 2018	შპს სქაი ბათუმი 31 დეკემბერი 2018
მიმდინარე აქტივები	1,205,853	1,575,642
გრძელვადიანი აქტივები	2,735,344	284,058
მიმდინარე ვალდებულებები	(172,530)	(7,262)
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
წმინდა აქტივები	3,768,667	1,852,438

	შპს რივერსაიდ დილომი 2018	შპს სქაი ბათუმი 2018
შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული ზარალი	(136,536)	(168,298)
% წილი საწარმოში	50%	50%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულების რეკონსილაცია:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	2,209,383	157,000
დამატებითი შენატანები	2,723,450	2,203,804
მოგების/(ზარალის) წილი ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში	64,894	(74,151)
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოებიდან კაპიტალის გამოტანა	(1,856,080)	(77,270)
ნაშთი წლის ბოლოს	3,141,647	2,209,383

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საწვავი	1,019,786	5,592,127	1,868,009
უძრავი ქონება*	1,152,835	1,623,002	2,348,849
სხვა	234,007	170,847	156,685
სულ მარაგები	2,406,628	7,385,976	4,373,543

*უძრავი ქონება შედგება გასაყიდად გამიზნული საცხოვრებელი ფართებისა და ავტოფარეხებისგან.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური მოთხოვნები			
მოთხოვნები საიჯარო გადასახდელებზე	1,007,465	859,070	423,793
სხვა მოთხოვნები	264,601	449,177	1,045,462
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(163,338)	-	-
	1,108,728	1,308,247	1,469,255
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	259,603	116,434	204,904
	259,603	116,434	204,904
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,368,331	1,424,681	1,674,159

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი (%)	1%	5%	10%	30%	50%-70%	80%-100%	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	736,108	89,136	147,471	138,477	62,083	98,791	1,272,066
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(7,361)	(4,457)	(14,747)	(41,543)	(13,258)	(81,972)	(163,338)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	728,747	84,679	132,724	96,934	48,825	16,819	1,108,728

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური მოთხოვნები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული გზაში*	82,452	8,220	193,685
ფული სალაროში	163,159	210,785	75,346
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	45,799	423,473	309,169
ფული ბანკში სხვა ვალუტაში	535,320	-	314,349
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	826,730	642,478	892,549

*ფული გზაში შედგება ავტო გასმართ სადგურებზე მიღებული თანხებისგან, რომლებიც 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯერ არ არის შემოსული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე.

12. საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლების განმავლობაში საწესდებო კაპიტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- 2018 წლის 24 იანვრიდან 20 ნოემბრამდე საწესდებო კაპიტალი ჯამურად შემცირდა 622,000 ლარით;
- 2017 წლის 31 მარტიდან 27 დეკემბრამდე საწესდებო კაპიტალი ჯამურად გაიზარდა 600,000 ლარით.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. მიღებული სესხები

				31 დეკემბერი 2018			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
სს ვითიზი ბანკი	7%	დოლარი	24-მარ-25	15,363	1,765,454	-	11,585,503
სს ვითიზი ბანკი	6%	ევრო	24-მარ-25	2,293	316,141	-	2,008,400
სს ვითიზი ბანკი	10%	ლარი	25-მარ-19	4,506	2,320,000	-	-
სულ მიღებული სესხები				22,162	4,401,595	-	13,593,903

				31 დეკემბერი 2017			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
სს ვითიზი ბანკი	10%	ლარი	15-ოქტ-18	1,507	2,750,000	-	-
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	76,125	2,560,695	-	12,141,129
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	2,292	77,105	-	365,581
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	1,753	58,973	-	279,561
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	746	25,091	-	119,007
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,526	57,921	-	269,437
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,423	56,024	-	261,031
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,359	51,595	-	240,016
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	895	33,973	-	157,970
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,519	119,920	-	206,042
სულ მიღებული სესხები				89,145	5,791,297	-	14,039,774

				1 იანვარი 2017			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
სს ვითიზი ბანკი	10%	ლარი	18-დეკ-17	5,205	1,500,000	-	-
სს ვითიზი ბანკი	10%	ლარი	3-იან-18	137	500,000	-	-
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	104,195	2,196,880	-	15,011,814
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	3,137	66,151	-	452,020
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	1,633	51,359	-	345,662
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	39	19,602	-	147,146
სულ მიღებული სესხები				114,346	4,333,992	-	15,956,642

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	19,920,216	20,404,980
ფულადი ნაკადები	(3,496,658)	(1,594,741)
არაფულადი მოძრაობა:		
საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტი	1,265,065	1,427,352
საკურსო სხვაობის ეფექტი	329,037	(317,375)
ნაშთი წლის ბოლოს	18,017,660	19,920,216

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. საგადასახადო ვალდებულება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულება, ძირითადად შედგება, ამავე წლის დეკემბერში იმპორტირებული საწვავის აქციზის გადასახადის ვალდებულებისგან, რომელიც ჯგუფმა დაფარა მომდევნო საანგარიშგებო წლის დასაწყისში.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	222,065	3,564,112	890,758
გადასახდელი ხელფასები	45,395	28,471	27,362
	267,460	3,592,583	918,120
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	266,606	211,620	189,180
	266,606	211,620	189,180
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	534,066	3,804,203	1,107,300

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი და ვალუტების მიხედვით გაშიფვრა იხილეთ 22-ე განმარტებითი შენიშვნაში.

16. ამონაგები

	2018	2017
ამონაგები:		
საწვავის რეალიზაციიდან	51,252,515	51,466,898
სავაჭრო ცენტრის იჯარიდან	3,187,323	3,334,254
ავტო გასამართი სადგურების იჯარიდან	2,722,595	2,602,686
სხვა	316,382	116,776
სულ ამონაგები	57,478,815	57,520,614

ჯგუფის ძირითადი შემოსავალი დაკავშირებულია საწვავის საცალო და საბითუმო ვაჭრობასთან. ამასთანავე, ჯგუფს იჯარით აქვს გაცემული მის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ცენტრი და ასევე, ავტო გასამართი სადგურები, რომლებსაც აქირავენ სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

17. რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება

	2018	2017
საწვავი	(47,739,855)	(47,246,821)
ცვეთა	(884,582)	(838,073)
სხვა	(546,019)	(245,534)
სულ რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(49,170,456)	(48,330,428)

იბერკომპანი ჯგუფი**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. სხვა წმინდა შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	707,239	677,881
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	67,110	438,502
სხვა, წმინდა	334,494	152,278
სულ სხვა წმინდა შემოსავალი	1,108,843	1,268,661

19. გაყიდვის დანახარჯები

	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,124,477)	(1,890,661)
იჯარა	(934,462)	(389,903)
ცვეთა	(406,060)	(232,233)
ტრანსპორტირების ხარჯი	(168,234)	(151,763)
კომუნალური ხარჯები	(163,012)	(43,260)
სარეკლამო ხარჯები	(37,229)	(111,137)
კომუნიკაციის ხარჯები	(16,241)	(165,132)
სულ გაყიდვის დანახარჯები	(2,849,715)	(2,984,089)

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(774,699)	(764,337)
ცვეთა და ამორტიზაცია	(401,252)	(440,267)
საგადასახადო ხარჯები	(256,848)	(251,519)
რემონტის და შეკეთების ხარჯები	(218,122)	(263,415)
მოთხოვნების გაუფაურების ხარჯი	(163,338)	-
დაცვის მომსახურება	(126,854)	(60,576)
იჯარა	(125,165)	(118,620)
დაზღვევა	(115,144)	(94,970)
ბანკის მომსახურების ხარჯები	(70,790)	(52,576)
საოფისე ხარჯები	(59,603)	(53,423)
კომუნალური ხარჯები	(45,204)	(50,030)
სხვა	(383,282)	(384,555)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,740,301)	(2,534,288)

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

მომავალი საიჯარო გადასახდელები

ჯგუფს საოპერაციო იჯარით ნაქირავები აქვს ავტო გასამართი სადგურები. იჯარების ხანგრძლივობა განსხვავებულია და მათი მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 წელს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია პირობების გადახედვა და ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საოპერაციო იჯარით წარმოქმნილი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 წლამდე	883,981	887,376	525,362
1-დან 5-წლამდე	2,060,390	3,062,802	3,411,392
5 წელზე მეტი	1,145,393	2,317,622	2,922,016
სულ მომავალი საიჯარო გადასახდელები	4,089,764	6,267,800	6,858,770

კოვენანტებთან შესაბამისობა

ჯგუფი ექვემდებარება კოვენანტებს, რომლებიც დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან. ამგვარი კოვენანტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მიღებული სესხების მოთხოვნისთანავე დაფარვის ვალდებულებასთან. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი კოვენანტების უმრავლესობას აკმაყოფილებდა:

კრედიტორების მიერ დაწესებული კოვენანტები	2018	2017
EBITDA*/სასესხო ვალდებულებები	≥0.2	≥0.25
EBITDA*/საპროცენტო ხარჯი	≥3	≥3
(LTV) სასესხო ვალდებულების ძირითადი საშუალებებით	≥1.25	≥1.25
უზრუნველყოფის კოეფიციენტი		
ჯგუფი ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ კოვენანტს	2018	2017
(DSCR) სასესხო ვალდებულების საოპერაციო მოგებით	≥1.2	≥1.2
უზრუნველყოფის კოეფიციენტი		

დარღვეულ კოვენანტთან დაკავშირებით ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მსესხებელს შორის მოხდა შეთანხმება, რომ აღნიშნული დარღვევის გამო არ მოხდება სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის უფლების გამოყენება.

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლვადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	663,571	431,693	817,203
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,108,728	1,308,247	1,469,255
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	1,772,299	1,739,940	2,286,458

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	826,730	-	-	-	826,730
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,108,728	-	-	-	1,108,728
სულ ფინანსური აქტივები	1,935,458	-	-	-	1,935,458
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	267,460	-	-	-	267,460
მიღებული სესხები	3,092,782	2,318,345	12,364,507	3,863,905	21,639,539
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,360,242	2,318,345	12,364,507	3,863,905	21,906,999
ლიკვიდურობის სხვაობა	(1,424,784)	(2,318,345)	(12,364,507)	(3,863,905)	(19,971,541)
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	(1,424,784)	(3,743,129)	(16,107,636)	(19,971,541)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	642,478	-	-	-	642,478
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,308,247	-	-	-	1,308,247
სულ ფინანსური აქტივები	1,950,725	-	-	-	1,950,725
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,046,945	6,129,224	15,306,545	956,990	23,439,704
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,592,583	-	-	-	3,592,583
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,639,528	6,129,224	15,306,545	956,990	27,032,287
ლიკვიდურობის სხვაობა	(2,688,803)	(6,129,224)	(15,306,545)	(956,990)	(25,081,562)
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	(2,688,803)	(8,818,027)	(24,124,572)	(25,081,562)	

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,469,255	-	-	-	1,469,255
ფული და ფულის ეკვივალენტები	892,549	-	-	-	892,549
სულ ფინანსური აქტივები	2,361,804	-	-	-	2,361,804
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	985,948	4,857,524	14,373,890	4,788,535	25,005,897
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	918,120	-	-	-	918,120
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,904,068	4,857,524	14,373,890	4,788,535	25,924,017
ლიკვიდურობის სხვაობა	457,736	(4,857,524)	(14,373,890)	(4,788,535)	(23,562,213)
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	457,736	(4,399,788)	(18,773,678)	(23,562,213)	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	291,410	535,320	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,108,728	-	-
სულ ფინანსური აქტივები	1,400,138	535,320	-
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,324,507	13,366,320	2,326,833
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	267,460	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,591,967	13,366,320	2,326,833
ღია საბალანსო პოზიცია	(1,191,829)	(12,831,000)	(2,326,833)

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	642,478	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,308,247	-	-
სულ ფინანსური აქტივები	1,950,725	-	-
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,751,505	15,708,060	1,460,651
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	872,803	2,719,780	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,624,308	18,427,840	1,460,651
ღია საბალანსო პოზიცია	(1,673,583)	(18,427,840)	(1,460,651)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	892,549	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,469,255	-
სულ ფინანსური აქტივები	2,361,804	-
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,005,342	18,399,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	918,120	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,923,462	18,399,638
ღია საბალანსო პოზიცია	(561,658)	(18,399,638)

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიხმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე და კაპიტალზე გავლენა, ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	ლარი / აშშ დოლარი		ლარი / ევრო	
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,566,200)	2,566,200	(465,367)	465,367
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,685,568)	3,685,568	(292,130)	292,130

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

23. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირების უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	2018	2017
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზრაურება	(159,065)	(163,610)

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ინვესტიციები:

- შეძენელია წილი შპს „საბურთალოს ბაზარი 2012“-ში (ს/კ 404920564) 1,248,714 ლარის (450,000 აშშ დოლარი) ოდენობით, 2019 წლის ივნისის თვეში. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი შვილობილ კომპანიაში 60%-იან წილს ფლობს;

იბერკომპანი ჯგუფის

მმართველობის ანგარიშგება
(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„იბერკომპანი“ ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 27 სექტემბერს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

30 სექტემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„იბერკომპანი“ ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 27 სექტემბერს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

30 სექტემბერი 2019

საქმიანობის მიმოხილვა

იბერკომპანი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იბერკომპანი ჯგუფის 100%-იანი დამფუძნებელია ფ/პ გოჩა ენუქიძე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „იბერკომპანი“ ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

- შპს იბერვანი – 100% წილი
- შპს იბერპესი – 100% წილი
- შპს ჰოუმმარტი – 100% წილი
- შპს ოპტიმა – 100% წილი (უმოქმედო)
- შპს არქი რივერსაიდი – 50% წილი
- შპს კერა დეველოპმენტი – 50% წილი
- შპს საწვავის ტრანსკავკასიური კომპანია – 50% წილი (უმოქმედო)
- შპს სქაი ისანი – 34,25% წილი
- შპს სქაი ბათუმი – 50% წილი
- შპს რივერსაიდ დილომი – 50% წილი
- შპს ფოტოპეტროლი – 40% წილი
- შპს შატრო ველი – 20% წილი
- შპს ომეგა გაზი – 35% წილი
- შპს დელტა გაზი – 10% წილი

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ნავთობპროდუქტების იმპორტი, მათი საცალო და საბითუმო რეალიზაცია.
- ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია.
- უძრავი ქონების იჯარა.

ჯგუფს აქვს ცენტრალიზებული მართვის სტრუქტურა.

2018 წელს დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა იბერკომპანიში შეადგენდა 250 თანამშრომელს. შემუშავებულია საბონუსე სისტემა, რომლის საფუძველზეც თანამშრომლის მიერ გაწეული ეფექტური, ხარისხიანი და შედეგიანი სამუშაო პირდაპირ აისახება მისი ანაზღაურების მოცულობაზე.

ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლებს ჯანმრთელობის დაზღვევით.

2018 წელს მიმდინარეობდა ავტოგასამართი სადგურების ქსელის რებრენდინგი. ჯგუფმა 2018 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია განიცადა. მნიშვნელოვნად მოხდა კადრების და ჯგუფის გადახალისება.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2018 წელს ჯგუფის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 57,478,815 ლარი, რაც უმნიშვნელოდ ჩამორჩება 2017 წლის მონაცემს 57,520,614 ლარი.

მათ შორის საწვავის მიმართულებით 236 823 ლარით არის შემცირებული.

შემოსავლების კლება ძირითადად განპირობებულია რეალიზებული პროდუქტის -საწვავის ფასის ზრდით, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება რეალიზებული საქონლის რაოდენობაზე.

უძრავი ქონების იჯარის მიმართულებით შემცირებულია 420 163 ლარით.

შემოსავლების კლება დაფიქსირდა ჯგუფის უძრავი ქონების იჯარით მიღებულ

შემოსავლებშიც, ვალუტის კურსის მნიშვნელოვნად გაზრდამ განაპირობა ბაზარზე იჯარის საგნის მოთხოვნის შემცირება და არსებული ფასების მკვეთრად ვარდნა.

2018 წლის ბოლოს ჯგუფის მთლიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 40,049,939 ლარი, რაც 10%-ით ნაკლებია 2017 წლის მონაცემებთან შედარებით. რაც

ძირითადად განპირობებულია მარაგების შემცირებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 2017 - 7,385,976 ლარი, ხოლო 2018 - 2,406,628 ლარი.

2018 წელს ჯგუფის EBITDA (მოგება/ზარალი საგადასახადო, ცვეთის, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯებამდე) იყო 2,470,493 ლარი, ხოლო 2017-3,677,814.

ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტები კი ასე გამოიყურება:

	2018	2017
ROA	6.17%	8.20%
ROE	11.51%	18.72%

ჯგუფის 2018 წლის საოპერაციო მოგება 2017 წელთან შედარებით 1,203,246 არის შემცირებული, რაც ძირითადად რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულების ზრდით (გაზრდილია წინა წელთან შედარებით 784,242 ლარი) და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ბაზარზე წარმოშვა (გაზრდილია წინა წელთან შედარებით 292,593 ლარი).

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფს წლის განმავლობაში არ ჩატარებია ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასა და განვითარებასთან

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

- საოპერაციო რისკები

- საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.
- არაბრენდი სადგურების რაოდენობის მუდმივი ზრდის ფონზე, საცალო სეგმენტში საბაზრო წილის დაკარგვა.

- საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით.

ჯგუფი სრულად ქმნის რეზერვს 1 წელზე მეტი ვადაგადაცილების მქონე აქტივებზე.

ჯგუფი მუდმივად ახდენს მოთხოვნების მონიტორინგს.

- სავალუტო და ნავთობის შესყიდვის რისკები

სავალუტო და შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი.

სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯგუფის საბანკო სესხების უმეტესი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

სავალუტო რისკის მართვა ხდება ბაზართან შედარებით მომგებიანი ვალუტის გაცვლის კურსის შეთანხმებით ადგილობრივ ბანკებთან.

ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო და კორპორატიულ სარეალიზაციო ფასებში.

შესასყიდი ნავთობის ფასი საერთაშორისო ბაზარზე ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, საწვავის შესყიდვა/იმპორტი ხდება აშშ დოლარში, რაც ზეგავლენას ახდენს საწვავის გასაყიდ ფასზე საცალო და კორპორატიულ ქსელში.

აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, საწვავის ადგილობრივ ბაზარზე შეძენის გზით თუმცა ეს პროცედურა ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას.

4. ჯგუფის განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის განვითარების გეგმის მიხედვით 2019 წელს მოხდება არსებული ავტოგასამართი სადგურების ნაწილის განახლება-რემონტი და ახალი სადგურების გახსნა. კომპანია გეგმავს აქტიურად გააფართოვოს ქსელი ქვეყნის მასშტაბით.

ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო და კორპორატიულ სარეალიზაციო ფასებში.

შესასყიდი ნავთობის ფასი საერთაშორისო ბაზარზე ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, საწვავის შესყიდვა/იმპორტი ხდება აშშ დოლარში, რაც ზეგავლენას ახდენს საწვავის გასაყიდ ფასზე საცალო და კორპორატიულ ქსელში.

აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, საწვავის ადგილობრივ ბაზარზე შეძენის გზით თუმცა ეს პროცედურა ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას.

4. ჯგუფის განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის განვითარების გეგმის მიხედვით 2019 წელს მოხდება არსებული ავტოგასამართი სადგურების ნაწილის განახლება-რემონტი და ახალი სადგურების გახსნა. კომპანია გეგმავს აქტიურად გააფართოვოს ქსელი ქვეყნის მასშტაბით.


ფინანსური დირექტორი

30 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

